ფილოსოფია ქართულ-ამერიკულ პარალელებში

ირაკლი ბრაჭული

თსუ, ასოცირებული პროფესორი,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

როგორ იხსნა საქართველო შიმშილისაგან ფილოსოფიამ

საქართველოს მეორე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე უკვე მოხუცებული იყო. ყველა „ბაბუს“ ეძახდა, მაგრამ თანამდებობა მაინც არ ეთმობოდა. სხვა ქვეყნებში მისი თაობის პრეზიდენტები უკვე დიდი ხანია პენსიონერები იყვნენ. ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედი პრეზიდენტიც, მისი თანატოლი ჯორჯ ბუშის ნაცვლად, უკვე მისი ვაჟი ჯორჯ ბუში (უმცროსი) იყო. ვაშინგტონში მორიგ შეხვედრაზე „ბიძია-ბაბუა შევარდნაძემ“ თავისი ყოფილი პარტნიორის ბიჭს შეუქო სიტყვა წარმოთქმული კონგრესმენებისა და სენატორების გარეშე – „ნამდვილი ფილოსოფიური სიტყვა იყოო“. ცნობილია, რომ უმცროს ბუშს წიგნების კითხვა არ უყვარს, თუმცა, ბედის ირონიით, ცოლად შეირთო ბიბლიოთეკარი გოგონა ლორა ბუში. გეოგრაფიაში ჯორჯი ცუდ ნიშნებს იღებდა. კავკასიაზეც მხოლოდ ის იცოდა, რომ იქ ძალიან ძველი მთები და ხალხია, რომელიც დიდ პატივს სცემს უხუცესებს. ტყობა, სიტყვა „ფილოსოფიაც“ იმის გონებაში რაღაც ამნაირთან, თოვლიან მთებთან და ჭაღარა ბრძენკაცთან ასოცირდებოდა. „ოლდმენის“[1] ქათინაურს სენტიმენტალური პასუხი გასცა: „დედაჩემი სულ იმას მეუბნებოდა, რამე ფილოსოფიური წიგნი წაიკითხე. ახლავე უნდა დავურეკო და ვუთხრა, თურმე ჩემი სიტყვა ყოფილა ფილოსოფიურიო“.

ბატონი გელა ჩარკვიანი, რომელიც ამ შეხვედრას თარჯიმნობდა, თავის მემუარებში იხსენებს: „ამის შემდეგ ბუშმა გვითხრა, გეტყობათ, რაღაც სათხოვარი გაქვთ და პირდაპირ მითხარითო“. ჩვენებს გაუმხელიათ: ხორბლის მარაგი გვითავდება. თუ არ გვიშველით, რამდენიმე დღეში ჩვენს ქვეყანაში შიმშილობა დაიწყებაო. ჩვენებურები ჯერ გამოსულიც კი არ იყვნენ ოვალური კაბინეტებიდან, რომ კანადური ხორბლით დატვირთული გემი უკვე მიემართებოდა ფოთის ნავსადგურებისაკენ.

კანტის დასკვნა

ორგვერდიანი დასკვნა, რომლითაც თავდება იმანუელ კანტის მთავარი ეთიკური ნაწარმოები „პრაქტიკული გონების კრიტიკა“ (1788), მთელი მისი

---

[1] Oldman – ინგ. ბერიკაცი

ცხოვრებისა და შემოქმედების შეჯამება და ანდერძია, მისი პირველივე სტრიქონები ამოჭრეს კანტის საფლავზე კენინსბერგის საკათედრო ტაძრის გალავანში: **„ორი რამ აღავსებს სულს სულ უფრო მზარდი განცვიფრებითა და მოწიწებით რაც უფრო ხშირად და დიდხანს ვფიქრობ მათზე: ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს თავზე და მორალული კანონი ჩემში“.**

ვთქვათ ცოტა უფრო გასაგებად, რა არის ეს „ორი რამ“ და რა კავშირია მათ შორის.

„პირველი, – წერს კანტი, – დასაბამს იღებს იმ ადგილიდან, რომელიც მე მიჭირავს გარეგან გრძნობად სამყაროში და უსასრულოდ აფართოებს ჩემს კავშირს სამყაროთა ზემოთ მყოფ სამყაროებთან და სისტემათა სისტემებთან. ... მეორე კი დასაბამს პოვებს უჩინარ თვითებაში, ჩემს პიროვნებაში, და იგი ისეთ სამყაროში წარმომაჩენს, რომელიც ჭეშმარიტად უსასრულოა“.

ახლა გავიხსენოთ წიგნის დასაწყისში სკოლის მოსწავლეებთან, ერთ-ერთ „წრიპა ბიჭთან“[1] გასაუბრება ფილოსოფიასა და ადამიანის დანიშნულებაზე:

– ყველა ფილოსოფოსი კასრში ცხოვრობს, ფეხბურთი კი ადამიანების ურთიერთობისთვისაა.

ბიჭი მართალია. ფეხბურთი მისი გონების ბუნებრივი სინათლის ან მორალური კანონის გამოცხადებაა (კანტის სიტყვებით) „ჩემი პიროვნების სახით, რომელშიც მორალური კანონი გამოაცხადებს სიცოცხლეს, დამოუკიდებელს ყოველივე ცხოველურისაგან და თვით ყოველივე გრძნობადი სამყაროსგანაც კი ... რომელიც ამქვეყნიური სიცოცხლის პირობებსა და ჩარჩოებში კი არ არის მომწყვდეული, არამედ უსასრულობაში მიიწევს“.

რაკი მიწას უნდა დაუბრუნოს მატერია, რომლისგანაც გაჩნდა (ვინ იცის რატომ, იქნებ შემთხვევით), ფილოსოფოსისათვის ყველაფერი ამათია, გარდა იმისა, რომ ღამეული ვარსკვლავეთის ცას უთვალთვალოს, რათა ეს დიდებული სანახაობა აქციოს გონებისმიერ რწმენად (vernufgLaube), რომ არსებობს სხვა, ნეტართა მიწა, „მათ წმინდა ჭალებსა და ტაძრებში მართლაც ბინადრობენ ღმერთები“ (პლატონი, ფედონი). აქედან ერთ ნაბიჯზეა ამ რწმენის გარეპება, ტაძრებში მუხლჩოქვით გალობა, ბებრების შოუ, უფრო უკეთესი სამყაროსათვის, ვიდრე ჩვენია.

ასე ესმის ბიჭს ფილოსოფია. ის სხვა, ხიფათით სავსე გზას ირჩევს, ყოველმა დღემ შეიძლება მოუტანოს ბულინგით, დაცინვით, დაჩაგვრით

---

[1] „წრიპა ბიჭის დღიურები“ – ნიუ-იორკ ტაიმსის“ გამოცემული 21-ე საუკუნის ყველაზე პოპულარული რომანია სერიადა (15 ტომი) მოზარდების ცხოვრებაზე. ქართულად უკვე თარგმნილი და გამოცემულია 10 ტომი, პლანეტის ყველა ქვეყანაში (ირანშიც კი) მოზარდები მოუთმენლად ელიან მის მორიგ ტომეულს.

დაწყევლილი შემთხვევები, წაგებული თამაშების სირცხვილი, თასის მფლობელზე დამსხვრეული ოცნების სასოწარკვეთა, დროგამოშვებით კი – აბსოლუტური მარტოობის გაუმხელელი ძრწოლა, შორეული სიკვდილის ლანდს რომ მოაქვს ხოლმე, მაგრამ ბიჭი სულის უკვდავებასა და თავისუფლებას აფუძნებს გონების მორალურ გამოყენებაზე და ყოველდღიურად მზად არის ამისათვის.

ნიცშეს აზრით, არსებობენ სიცოცხლეზე ჰო!-ს მთქმელი და სიცოცხლეზე არა!-ს მთქმელი ფილოსოფოსები. ამოდის, რომ ბიჭი ჰო-ს მთქმელია, პლატონი კი – არა-ს მთქმელი. ასე იტყოდა ნიცშე, მაგრამ ის არ იქნებოდა მთლად მართალი.

კანტის დასკვნა გვასწავლის, რომ გონების პრაქტიკული გამოყენება და მისი თეორიული გამოყენების ელემენტები ერთმანეთს ერწყმიან, ხელჩაჭიდებულნი მიდიან „სიბრძნისაკენ მიმავალ გზაზე, რომელსაც ყოველი ჩვენგანი უნდა დაადგეს და სხვებიც გაიყოლიოს“. თქმულება და მრავალი ნაწარმოები გვიამბობს ოიდიპოსის დასასრულზე. თვალებდათხრილი მამა საკუთარ ასულს „წრიპა გოგონას“, ანტიგონეს ხელჩაჭიდებული მიჰყავს კოლონოსისკენ, წმინდა ალაგისაკენ, საიდანაც ჰადესში მიემგზავრებიან. სწორედ ამ ხელიხელჩაჭიდებულობაშია პოსტულირებული კანტის მიერ მონიშნული „ორი რამ“: ფილოსოფია და ცხოვრება.[1] ამ კავშირს გამოთქვამს ოიდოპოსის უკანასკნელი სიტყვები: ყველაფერი არის კარგად, მიუხედავად იმისა, რაც თავს გადამხდა.

ოიდიპოსის უკანასკნელი სიტყვები სოკრატესა და კანტის უკანასკნელი სიტყვებიცაა. კანტი მოხუცებულობამ ისე დაასუსტა, რომ ლექციების კითხვა ვეღარ შეძლო. ერთხელაც, სეირნობის დროს წაიქცა. გამვლელმა ქალებმა იქცენს და წამოაყენეს. ამის შემდეგ ის ქუჩაშიც აღარ გასულა, რომელსაც კენინსბერგის მოქალაქეებმა „ფილოსოფოსის ქუჩა“ შეარქვეს. 1804 წელს კანტის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა. აგონიის დაწყების წინ მსახურმა და ექიმმა გაიგონეს მისი უკანასკნელი სიტყვები: ეს კარგია! (es ist Gut).

ფილოსოფია ყველაზე სახალხო ადგილას

ჩვენთვის, დამწყები ფილოსოფოსებისათვის, საინტერესო უნდა იყოს ამბავი იმის შესახებ თუ როგორ მოხვდა ფილოსოფიის ერთ-ერთი ყველაზე

---

[1] ზ. კაკაბაძე, ფილოსოფია და ცხოვრება, 2010, ბატმი, მკითხველს ვურჩევ, ამ თემაზე აუდიო და ვიდეოჩანაწერებში მოისმინოს მერაბ მამარდაშვილის „საუბრები ფილოსოფიაზე“. წერა მას არ ეხერხებოდა. თვითონვე ამბობდა: წიგნებში ისე ვერ გადმოვცემ ცოცხალ აზრს, როგორც ზეპირზისტყვიერადო.

აკადემიური, ფორმალური და მკაცრად მეცნიერული ტერმინი „ეზსისტენციალური კრიზისი“ ისეთ ყველაზე, პოპულარულ, ყველაზე მასიურ და ყველაზე სახალხო „ადგილზე“, როგორიცაა ფეხბურთი. ასპარეზობათა კომენტატორებიდან ხშირად გავიგონებთ ხოლმე გამოთქმას „ეგზისტენციალურ კრიზისში მყოფი გუნდი გადაარჩინა მწვრთნელმა“. როგორ ესმის ეს ტერმინი ხუთიდან ასი წლის ასაკამდე მილიარდობით ფეხბურთის ფანს?

ეს ტერმინი ქართულ ფილოსოფიურ ლექსიკაში ამ ნახევარი საუკუნის წინ შემოვიდა იმჟამად სახელმწიფოში პოპულარული ფილოსოფიური მიმდინარეობის, – ეგზისტენცალიზმის, და ზურაბ კაკაბაძის იმავე სახელწოდების წიგნის წყალობით; მაშინვე გასცდა ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერმუშაკთა წრეს, გავიდა საზოგადოებაში, რომელიც მათ ისე უყურებდა, როგორც „კასრში მჯდომ“, ანუ ძალზე ნაკითხ, მაგრამ ცოტათი შერეკილ ხალხს, ისინი ხომ ყველაფერში ცხვირს ყოფენ, ყველაფრის ფესვებში იქექებოდნენ, თავს იმტვრევდნენ იმაზე, რაც თავისთავად ცხადია, მაგალითად, რა იყო, როცა არაფერი იყო, ან რაშია ცხოვრების აზრი? და ა.შ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ტირანიული სახელმწიფოს „მოძრაობით“, ერთფეროვნებითა და საშუალო ყოველდღიურობით გაბეზრებულ ამ საზოგადოებას აწუხებდა ყრუ შიმშილი უჩვეულოსა და არაჩვეულებრივის მიმართ, ამიტომ „კარსში მჯდომთა“ მიმართ შორიდან თვალთვალითა და ჭორაობით იყო დაკავებული. რაღაცას ელოდნენ იმათგან, ვინც თავისუფალი ფანტაზიისა და წარმოსახვის უნარის დახმარებით ცდილობდა, გამოევლინა მოვლენის არა იმდენად ფაქტობრივი მხარე, რამდენადაც პოტენციური შესაძლებლობები. შხვაგვარად გულვობის ხიბლი ფანტაზიურობისაკენ იზიდავდა პუბლიკას.

„კასრში მჯდომები“ კი რას ამბობდნენ. შეკითხვაზე „რა არის მერხი?“ ორი შესაძლო პასუხი არსებობს: ა) ხე, ბ) რაზეც ვწერ. სევე, შეკითხვაზე „რატომ ადუღდა ჩაიდანი?“ ორი შესაძლო პასუხია: ა) ტემპერატურის მომატებამ წყალი თხევადი მდგომარეობიდან გადაიყვანა აიროვან მდგომარეობაში, ბ) იმიტომ ადუღდა, რომ ჩაი დავლიო.

ამ ორი შესაძლებლობიდან თანამედროვე მეცნიერებამ მხოლოდ პირველი ტიპის პასუხი მიიჩნია „ნორმალურად“, ხოლო მეორე – არამეცნიერულად, შეცდომად, და საბოლოო ჯამში, შეშლილობად. შორეულ მოგონებებში თუ დარჩა დრო, როცა ძველი დროის ფილოსოფოსები, მაგალითად არისტოტელე, ასწავლიდნენ, რომ ორივე პასუხი შეიძლება სწორი იყოს. პასუხის მეცნიერულობა უარყოფს იმის შესაძლებლობას, რომ ორივე პასუხი შეიძლება იყოს სწორი, თუ ათვლის წერტილს გავითვალისიწნებთ. ე.ი. ის, რასაც ყველაზე მეტად ენდობა თანამედროვე ადამიანი, აღარ სვამს კითხვას – რისთის, რა მიზეზით? თვითმიზნურად ქმნის ატომურ ბომბებს, კარგავს

ადამიანურ სახეს და გარდაუვალი თვითმოსპობისაკენ მიგვაქანებს. ე.ი. ვითარება კრიზისულია და, მაშასადამე, გადაუდებელ ცვლილებებს მოითხოვს.

„კრიზისული ეპოქის კრიტიკა“ მაშინ, 50 წლის წინათ, საქართველოში აღიქმებოდა, როგორც პოლიტიკური განახლებისათვის მოწოდება, თავისუფლების მოლოდინი და სხვა სამყაროში გადასვლის უწყება.

დღევანდელი საფეხბურთო სამყაროსათვის „ეგზისტენციალური კრიზისი“ ისეთი ვითარებაა, როცა გვინდა გამოსავლის პოვნა, მაგრამ ჯერ ვერ ვპოულობთ მას. უფრო კონკრეტულად, იმის გაცნობიერებას უნდა ნიშნავდეს, რომ გუნდმა დაკარგა თამაშის ქარიზმა, აზრი, საზრისი და თავის ამ დაკარგულობაში მომწიფდა ახალ თამაშში ხელახლა შობის მზაობა. დგება მომენტი, როცა კვერცხი უნდა გატყდეს, რათა წიწილა გამოიჩეკოს. ხელახლაშობა, რა თქმა უნდა, მითოსის კუთვნილებაა, მაგრამ ფეხბურთიც ხომ თანამედროვეობის ერთ-ერთი მთავარი მითია, ოღონდ ისეთი მითი, რომელიც უფილოსოფიოდ ვერ ძლებს.

ამის შესახებ ჯერ კიდევ პლატონი მიგვითითებდა ჩვენ, დამწყებ ფილოსოფოსებს: „ყველაფერი რომ ერთდებოდეს და აღარ ითიშებოდეს, მერე კოსმოსის ნაცვლად მივიღებდით ქაოსს, რომელშიც, ანაქსაგორას სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა საგანი ერთმანეთშია აღრეული ... ყოველი არსი რომ კვდებოდეს მხოლოდ და არაღ აღდგებოდეს სიცოცხლისათვის, რას იტყვი, განა ყველაფერს სიკვდილი არ შთანთქავდა ბოლოს და ბოლოს“ (ფედონი. 46).

სოკრატე კომპიუტერთან და მარკუზეს ერთგანზომილებიანი ადამიანი

სოკრატე ალბათ „დაპოსტავდა“ შეტყობინებას ჩვენი ცივილიზაციის ორაზროვნების, სისტემის ორპირობისა და ორსახოვნების შესახებ, რაც კარგად ჩანს, ერთ მხრივ, სიკვდილით დასჯის აკრძალვაში, ხოლო მეორე მხრივ, ეფთანაზიის, – ნებაყოფლობითი კომფორტული თვითმკვლელობის უფლების დაკანონებაში; შობადობის კონტროლში, გენოინჟინერიის მეშვეობით, გენეტიკური კოდის ნებისმიერ პროგრამირებასა და კლონირების პრაქტიკაში.

რა არის ეს? – „ნუსის“ „ლოგოსის“ ცივილიზაცია თუ აბსურდის სიტუაციაში შესული შეშლილი სამყარო?

შოკრატე, რათქმა უნდა, ირონიულად მოეკიდებოდა იმ ფაქტს, რომ ჩვენმა დრომ ფილოსოფიას მოხუცთა თავშესაფარში მიუჩინა ადგილი, თვითონ კი მარსის კოლონიზაციისათვის მზადებაშია.

მას აუხსნიდნენ, რომ ეს წმინდა ეკონომიკური ოპერაციაა. ფილოსოფია ჩამოწერილია, როგორც წარმოებისა და ინდუსტრიის ზედმეტი ბარგი. ამი-

ტომ „მესამე ასაკის“, – ბებრის სტატუსშია გადაყვანილი. მისი არსებობის გასახანგრძლივებლად საკმაო თანხები იხარჯება.

ძნელი არ არის გამოვიცნოთ სოკრატეს პასუხი: „ თქვენ ფილოსოფოსს სიკვდილით აღარ სჯით, მაგრამ ფილოსოფიას მიუსაჯეთ სოციალური სიკვდილი. მას აღარ გააჩნია ძალისა და ძალაუფლების რაიმე ეკვივალენტი“

ინტერნეტსივრცეში სოკრატე მაშინვე მიხვდებოდა, რომ რეალობის სიმულაციის ჰადესში, ლანდების ვირტუალურ ქვეყანაშია გამოჭერილი და მისივე ლანდის ლანდების თვითწარმომქმნელი სერიალებიდან ვეღარასოდეს გამოვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გელა ჩარკვიანი, ნაცნობ ქიმერათა ფერხული, გამომც. „ინტელექტი“, თბილისი, 2016.
2. პლატონი, ფედონი, გამომც. „ნაკადული“, 1966, თბილისი.
3. იმანუელ კანტი, „პრაქტიკული გონების კრიტიკა“, თარგმ. ლამარა რამიშვილმა, გამომც „ჩარბედიენ“,, თბილისი, 2016.
4. რიჩარდ რორდი, „ფილოსოფია და მომავალი“, ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი, 7–8, 2017-2018, გამომც. „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თარგმ. ანასტასია ზაქარიაძემ, თბილისი.

Philosophy in Georgian-American Parallels

Irakli brachuli

Doctor of philosophy, Associated professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The article comments on the communication meaning of the word “philosophy” on the example of one historical case. Georgian diplomat and scholarly writer Gela Charkviani describes in his memoirs the meeting between US President George W. Bush (junior) and the second President of Georgia, Eduard Shevardnadze, at the White House in Washington. Shevardnadze called Bush’s last speech at the joint session of the Congress “philosophical and profound.” This facilitated two-way communication. How did two “non-philosophers”, politicians who were not specialist philosophers, understand the concept of philosophy? Why does the word “philosophy” have such a powerful commu-

nicative meaning? How did the meeting participants understand the essence of American pragmatism? According to the publication, the "social contract" should be based on pre-contractual, religious-ethical foundations, which are articulated in philosophy. Here, perhaps, was meant the superiority of practical philosophy over theoretical, as it was in Stoicism, in Kant ethics, in the pragmatic reconstruction project of Charles Sanders Pierce, William James, and John Dewey. We should also consider the tendency to transfer traditional metaphysics to the metaphilosophical plane.